SAKHNAKHSHIRI | ISSN 2667-9396

მაისი | 2022

მეშახტე

საქნახშირი
SAKNAKHSHIRI

№17

კომპანიის სიახლეები / ჩვენი თანამშრომლები / ტყიბულის ამბები / იმერეთის სიახლეები / ღონისძიებები



სამუშაო ადგილზე არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი სამი თანამშრომელი სამსახურიდან გათავისუფლდა

გვ.2

გვ.5

დაბაძველის მოსახლეობას სასმელი წყალი 24 საათიან რეჟიმში მიეწოდება!

2022 წელს, იმერეთში, ცენტრალური ბიუჯეტიდან 132 000 000 ლარის ღირებულების 1200 პროექტი დაფინანსდა!

გვ.8

გვ.10

„საქნახშირის სპორტული და გასართობი ღონისძიებები“ ჭადრაკის შიდა ჩემპიონატით გაიხსნა!

სამუშაო ადგილზე არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი სამი თანამშრომელი სამსახურიდან გათავისუფლდა

2022 წლის 1 მაისს, „საქნახშირის“ ზედაპირულ კომპლექსზე ადგილი ჰქონდა ინციდენტს, კერძოდ, დატვირთული ვაგონების დაცლისას, როდესაც უბნის ზეინკალი რელსებიდან გადასული ერთ-ერთი ვაგონის ამოსაყვანად მის ჩახსნას ცდილობდა, შეცდომით ჩაირთო გადამყირავებელი, რა დროსაც ზეინკალმა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიიღო და ტრავმისგან გაითიშა.

დაუყოვნებლივ მოხდა შესაბამისი ზომების მიღება. დაზარალებული საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც შესაბამისი დახმარება გაუწიეს. კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილმა კომისიამ კი მომხდართან დაკავშირებით მოკვლევა დაიწყო: თანამშრომლებს ჩაუტარდათ ალკოტესტი, მოხდა მასალების მოძიება, კამერის ჩანაწერების ამოღება, ჩატარდა გამოკითხვა. შედეგად გაირკვა, რომ გადამყირავებელი მოულოდნელად ჩაირთო, რაც არ გაკონტროლდა პასუხისმგებელი თანამშრომლების მიერ.

როგორც გაირკვა, აღნიშნული უბნის 4 თანამშრომელი, ასევე საშახტო ტრანსპორტის უბნის 1 თანამშრომელი, სამსახურში ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. კომპანიამ მათ ალკოტესტის მონაცემების ქუთაისში გადამოწმება შესთავაზა (იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ ეთანხმებოდნენ ტესტის შედეგებს). თუმცა, დასაქმებულებმა ამაზე უარი განაცხადეს და დაეთანხმნენ შემოწმების შედეგს.

7 მაისს, კიდევ ერთი დარღვევა გამოვლინდა - №6 უბნის თანამშრომელმა კომპანიის ტერიტორიაზე, კერძოდ სასადილოში, ალკოჰოლური სასმელი შეიტანა და სვამდა. აღსანიშნავია, რომ ამავე დასაქმებულს მოქმედი დისციპლინური სახდელი ჰქონდა, რაც ასევე უკავშირდებოდა ალკოჰოლს.

აღნიშნულ ფაქტებზე ყურადღება გამახვილდა საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრებზე, სადაც აღინიშნა საწარმოო დისციპლინისა და შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის მნიშვნელობაზე.

ამასთანავე, კომპანიაში ჩატარდა დისციპლინური საქმის წარმოება, რომლის შედეგადაც პასუხისმგებელი პირების მიმართ, მათ მიერ ჩადენილი დარღვევებისა და მათი სიმძიმის გათვალისწინებით, სხვადასხვა დისციპლინური სახდელი იქნა გამოყენებული, კერძოდ, სამსახურიდან გათავისუფლდა ვაგონგადამყირავებლის მართვაზე პასუხისმგებელი ორი თანამშრომელი და №6 უბნის ერთი თანამშრომელი, ხოლო დანარჩენ დასაქმებულებს დაუკავდათ ერთი თვის ხელფასის 50%.

„საქნახშირის“ ადმინისტრაცია ყველა დასაქმებულს მიმართავს თხოვნით, რომ არ გამოცხადდნენ სამსახურში თრობის ქვეშ და არ მიიღონ ალკოჰოლი სამუშაო საათებში, გაუფრთხილდნენ ერთმანეთის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

N4 ნახშირმომპოვებელი უბანი ანაზღაურების ახალ სისტემაზე გადავიდა

N4 ნახშირმომპოვებელი უბანი ანაზღაურების ახალ, საცდელ სისტემაზე გადავიდა. ამას წინ უძღოდა რამდენიმეთვიანი მოსამზადებელი სამუშაოები, რომელსაც საწარმოს ეკონომიკური სამსახური ხელმძღვანელებთან და უბნის უფროსებთან ერთად აწარმოებდა. აღნიშნულ სიახლესთან დაკავშირებული ინფორმაცია ხელმძღვანელებმა დეტალურად გააცნეს დასაქმებულებს, მათ კი, თანხმობა ხელმოწერით დაადასტურეს.

ანაზღაურების ახალ სისტემაზე გადასვლამდე, ნახშირმომპოვებელი, მზადების, სარემონტო-აღდგენითი და პროფილაქტიკური სამუშაოების ანაზღაურება მოპოვებული ნახშირის რაოდენობის მიხედვით განისაზღვრებოდა. ახლა კი, ყველა მიმართულება სათითაოდ შეფასდა - მოხდა თითოეული სამუშაოს ტარიფის განსაზღვრა და დასაქმებულებისთვის გაცნობა.

შეგახსენებთ, რომ ანაზღაურების ახალი სისტემა სამთვიანი სატესტო რეჟიმით ამოქმედდა და პირველ ეტაპზე, ეს ცვლილება მხოლოდ №4 უბანს შეეხო.

შრომის უსაფრთხოების სამსახურს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს!

1 ივნისს, „საქნახშირის“ შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსად კობა შარვაძე დაინიშნა. მისი მოვალეობა, აღნიშნული სამსახურის დანარჩენ თანამშრომლებთან ერთად, შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის კონტროლი და უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფაა.

ბატონი კობას პირველი სამუშაო გამოცდილება სწორედ შახტს უკავშირდება - სკოლის დამთავრების შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში ზედაპირულ კომპლექსზე მუშაობდა. მოგვიანებით, უმაღლესი განათლებაც სამთო მიმართულებით მიიღო - ტექნიკური უნივერსიტეტი მიწისქვეშა ნაგებობებისა და შახტების მშენებლობის სპეციალობით დაამთავრა.

სწავლის დასრულების შემდეგ ჭიათურაში, მეექვსე სამშენებლო ტრესტის ოსტადად, ასევე შაორ-ტყიბულ ჰესის კასკადის ტექნიკური ჰიდრო-ნაგებობების ოსტატად მუშაობდა. 1994 წლიდან 2022 წლამდე კი სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელ ორგანოებში იყო დასაქმებული.

კობა შარვაძე: „ჩემთვის უდიდესი პასუხისმგებლობაა შახტში მუშაობა და მეშახტეებისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა. შრომის უსაფრთხოების წესებს უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს როგორც დამსაქმებლის, ისე დასაქმებულების მხრიდან. ამ მიმართულებით სამუშაო ბევრია, თუმცა, დარწმუნებული ვარ, თითოეული ჩვენგანის ჩართულობა და თავდაუზოგავი შრომა, ასევე პასუხისმგებლობის გრძნობისა და ერთმანეთის უსაფრთხოებაზე ზრუნვის კიდევ უფრო გაძლიერება, აუცილებლად გამოიღებს შედეგს. უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა და უსაფრთხოების წესების დაცვის კონტროლი ჩვენი სამსახურის პირდაპირი მოვალეობაა და თითოეული ჩვენგანის ჩართულობას მოითხოვს. იმედი მაქვს, ჩვენი თანამშრომლობა ეფექტიანი და შედეგიანი იქნება.“

ირაკლი კირკიტაძემ სამთო სფეროში მუშაობა 26 წლის ასაკში დაიწყო. ცხრა წელი ელმავლის მემანქანე იყო, შემდეგ კი, წლების განმავლობაში, წმენდითი სანგრევის სამთო მუშად მუშაობდა. 15 წლიანი თავდაუზოგავი შრომის შედეგად უდიდესი გამოცდილება მიიღო. ახლახანს ნახშირის გამამდიდრებელ ფაბრიკაში ცვლის უფროსის პოზიციაზე დაინიშნა.

ირაკლი კირკიტაძემ ტყიბულის პროფესიული სასწავლებელი ელმავლის მემანქანის მეორე თანრიგის კვალიფიკაციით დაამთავრა. გარდა ამისა, სწავლობდა ტყიბულის ინდუსტრიულ ტექნიკუმში (ეკონომიკა და დაგეგმვა სახალხო მეურნეობის დარგებში) და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე, სადაც სამთო ტექნიკოსის პროფესიას დაეუფლა. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ირაკლი კირკიტაძე: „მეშახტეთა ოჯახში დავიბადე და გავიზარდე, ბაბუები და მამა მეშახტეები იყვნენ. მე და ჩემი ძმებიც ოჯახის ტრადიციას ვაგრძელებთ - გიორგი და გურამი წლების მანძილზე ტყიბულის შახტში მუშაობდნენ, ამჟამად ჭიათურის მაღაროში, ვახტის უფროსის პოზიციაზე არაინ დასაქმებულები. უმცროსი ძმა, ზურა, „მინდელის“ სახელობის შახტის N1 უბანში წმენდითი სანგრევის სამთო მუშის პოზიციაზე მუშაობს.

პირადად მე, 26 წლის ვიყავი შახტში რომ დავიწყე მუშაობა, მალევე შევეჩვიე და შემიყვარდა ჩემი საქმიანობა. მეშახტეები ერთმანეთის თანადგომით გამოირჩევიან. კარგი მეგობრები შევიძინე, მათ გვერდით მუშაობა მიხარია და მსიამოვნებს.

“საქნახშირი” ტყიბულის არსებობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საწარმოა. იმედი მაქვს, ეს კომპანია კიდევ უფრო ბევრ კარგ საქმეს გააკეთებს მეშახტეებისთვის და ჩვენი ქალაქისთვის.“

გიორგი ჭელიძემ „მინდელის“ შახტში მუშაობა 2012 წელს დაიწყო. მოძრაობის უბანზე ჯერ გამგორედ მუშაობდა, შემდეგ მელულე-მესახელურედ. ამჟამად საშახტო ტრანსპორტის უბნის მიწისქვეშა ელმავლის მემანქანეა. მისი მოვალეობაა მეშახტეების უსაფრთხოდ ტრანსპორტირება, ასევე ტვირთის გადაზიდვა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი სამთო ელექტრო-მექანიკოსის სპეციალობით დაამთავრა. უკვე 10 წელია რაც „საქნახშირის“ თანამშრომელია და ღირსეულად ატარებს მეშახტის სახელს.

გიორგი ჭელიძე: „მაქსიმალურად ვიცავთ უსაფრთხოებას, აუცილებელია ყველა მეშახტემ დაიცვას უსაფრთხოების წესები, თორემ პატარა შეცდომაც კი შეიძლება სავალალო აღმოჩნდეს. წლებია შახტში საუკეთესო ადამიანებთან ერთად ვმუშობ, მიყვარს ჩემი საქმიანობა და მეამაყება რომ მეშახტე ვარ. ყველა მეშახტეს უსაფრთხო საქმიანობას ვუსურვებ.“

შოთა ხაზარაძემ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი სამთო ელექტრომექანიკოსის სპეციალობით დაამთავრა. უკვე 8 წელია „მინდელის“ შახტის მიწისქვეშა დამხმარე ჭაურის ამწე მანქანის მემანქანედ მუშაობს. დაკისრებულ მოვალეობს დიდი პასუხისმგებლობით ასრულებს და საქმისადმი ერთგულებით გამოირჩევა. მიწისქვეშა კომპლექსში სამშენებლო მასალების გადაზიდვას და მეშახტეების უსაფრთხო ტრანსპორტირებას სწორედ შოთა უზრუნველყოფს.

შოთა ხაზარაძე: „მეშახტეების ოჯახიდან ვარ. მამა, ბადრი ხაზარაძე „ძიძიგურის“ სახელობის შახტის ენერგეტიკული განყოფილების ენერგეტიკოსია. დედა, ლალი ხაზარაძე, ენერგეტიკული განყოფილების ქვესადგურის მორიგე ოპერატორი გახლავთ. მყავს მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი. 8 წელია ამ საქმეს ვაკეთებ და რა თქმა უნდა, მიყვარს ჩემი სამსახური. რაც მთავარია, სტაბილური შემოსავალი მაქვს. ამ კომპანიის იმედი მაქვს, ჩვენი ქალაქისთვის შახტა მთავარი მამოძრავებელია,.

„საქნახშირის“ გუნდს კიდევ ერთი ახალგაზრდა მეშახტე, გიორგი ხონელიძე შემოუერთდა. გიორგიმ ერთი წლის წინ, გვირაბგამყვანის პოზიციაზე დაიწყო მუშაობა და დღემდე წარმატებით საქმიანობს. „საქნახშირში“ მუშაობის პარალელურად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, სამთო ელექტრომექანიკოსის სპეციალობას ეუფლება.

ტყიბულში საცხოვრებლად მეუღლესთან და მცირეწლოვან შვილთან ერთად გადმოვიდა. მანამდე ქუთაისში ცხოვრობდა და ერთ-ერთ რესტორანში მზარეულად მუშაობდა. პარალელურად, ქუთაისის ახალგაზრდული თეატრის მსახიობიც იყო.

გიორგი ხონელიძე: „პანდემიის დროს სამსახურიდან წამოსვლა მომიწია. ტყიბულში გადმოსვლის შემდეგ „საქნახშირში“ მოვედი, მუშაობა გვირაბგამყვანის პოზიციაზე დავიწყე და მეშახტე გავხდი. სირთულეები მალე დავძლიე და ახალ საქმიანობასაც ავუღე ალღო. ტყიბული პატარა ქალაქია თავისი სილამაზითა და კარგი ხალხით. ქალაქისთვის შახტა დიდი ძალაა, რომელსაც საიმედო კომპანია მართავს!“

ნახშირის გამამდიდრებელ ფაბრიკაში დღის მანძილზე 800 ტონამდე ქვანახშირის გადამუშავება ხდება

ახალი გამამდიდრებელი ფაბრიკა, ე.წ. „ცოფი“ ტყიბულში 2009 წლის 12 მაისს გაიხსნა და მისი დანიშნულება შახტში მოპოვებული ნახშირის გამდიდრებაა. საწარმოში სადაც დღის მანძილზე 700-800 ტონამდე ნედლეულის გამდიდრება ხდება, 47 ადამიანია დასაქმებული. გამდიდრებული წიაღისეულის ძირითადი მომხმარებლები კასპის „ჰაიდელბერგცემენტის“ ქარხანა და ზესტაფონის „ჯორჯიან მანგანეზის“ ფეროშენადნობი ქარხანა არიან. 2021 წელს ფაბრიკაში 230 088,64 ტონა ქვანახშირის გადამუშავება მოხდა.

ნახშირის გამდიდრება ძირითადად გრავიტაციული მეთოდით მიმდინარეობს. სითხეების დამძიმება სპეციალური მაგნეტიტით ხდება, რათა იმ რაოდენობისა და დონის სიმკვრივე წარმოიქმნას, რომ ფუჭი ქანი და ხარისხიანი, მაღალკალორიული ნახშირი ერთმანეთს გამოეყოს. გამდიდრების შედეგად 4500-4600 კილო კალორიის ქვანახშირი მიიღება. გამდირებული, მაღალხარისხიანი ნახშირი სპეციალურ ბუნკერებში თავსდება (კლასიფიცირებული ზომების მიხედვით), მზა პროდუქცია მომხმარებელს მიეწოდება, ფუჭი ქანი კი სანაყარო ტერიტორიაზე თავსდება. ფაბრიკაში დასაქმებული ახალგაზრდა სპეციალისტებისთვის სისტემატურად ტარდება თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები, რაც მათ პროფესიულ ზრდას უწყობს ხელს.

გამამდიდრებელი ფაბრიკის უფროსი ნუგზარ კობახიძეა. მას სამთო სფეროში მუშაობის 40 წლიანი გამოცდილება აქვს. კობახიძემ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი სწორედ დამუშავება-გამდიდრების კვალიფიკაციით დაამთავრა. სწავლის დასრულების შემდეგ კი ტყიბულში დაბრუნდა და ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა. წლების განმავლობაში ცვლის უფროსის, დირექტორის მოადგილის და მთავარი ინჟინრის პოზიციებზე მუშაობდა.

ნუგზარ კობახიძე: „მადლიერება მინდა გამოვხატო ფაბრიკის მექანიკური სამსახურის დაუღალავი და თავდადებული მუშაობისთვის. ხაზი მინდა გავუსვა მთავარი მექანიკოსის, ელდარ ჭანტურიძისა და მისი მოადგილის, ბესო სანებლიძის პროფესიონალიზმს. რაც მთავარია, უსაფრთხოების ინჟინრის, ხვიჩა დოდელიას მხრიდან დიდი ყურადღება ექცევა უსაფრთხოების წესების დაცვას. იგი დროულად ახდენს

რეაგირებას ყველა გამოვლენილ დარღვევაზე. ჩვენი თანამშრომლების ასეთი პასუხისმგებლობა და საქმის ერთგულება განაპირობებს საწარმოს გამართულ მუშაობას.“

გამდიდრების დანადგარების მთავარი ოპერატორი ახალგაზრდა სპეციალისტი, გაგა სულაბერიძეა. მან ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი გამამდიდრებლის სპეციალობით დაამთავრა და ნახშირის გამამდიდრებელ ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა.

გაგა სულაბერიძე: „მუშაობა 2010 წელს, კონვეიერის მემანქანედ დავიწყე, შემდეგ ოპერატორად ვმუშაობდი. 1 წელია მთავარი ოპერატორის პოზიციაზე ვარ დასაქმებული. ჩემი მოვალეობა ნახშირის სიმკვრივეებისა და ხარისხის კონტროლია. მახარებს ის ფაქტი, რომ „საქნახშირი“ ზრუნავს საწარმოების განვითარებაზე, სიახლეების დანერგვაზე, თანამშრომლებისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნაზე და მათ კეთილდღეობაზე.“

შეგახსენებთ, რომ ნახშირის გამამდიდრებელი პირველი ფაბრიკა ტყიბულში 1952 წელს გაიხსნა. თუმცა, ამ მომენტისთვის ძველი შენობა აღარ არსებობს, რადგან საჭირო გახდა ამორტიზებული ფაბრიკის ლიკვიდირება.

ელზა გვენეტაძე: „ჩვენ პროფესიონალების გუნდი ვართ!“

ნახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის მიერ გადამუშავებული ნახშირის ხარისხის შემოწმებას „ხარისხის კონტროლის სამსახური“ სპეციალურ ლაბორატორიაში, ყოველდღიურ რეჟიმში აწარმოებს. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება პროდუქციის რეალიზება. ლაბორატორია ახალი ტექნიკით არის აღჭურვილი და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მუშაობს. სამსახურის უფროსი სპეციალისტი ელზა გვენეტაძეა, რომლიც უკვე 10 წელია სამთო სფეროში მუშაობს. ბოლო 5 წელი კი „ხარისხის კონტროლის სამსახურს“ ხელმძღვანელობს.

ელზა გვენეტაძე: „ფაბრიკიდან შემოსული პირველადი სინჯებით ნახშირის ხარისხი გერმანული წარმოების დანადგარებში მოწმდება. სპეციალურ აპარატში მოწმდება ნახშირის თბოუნარიანობა, ნესტშემცველობა, ნაცრიანობა, აქროლადობა, ნახშირბადის და გოგირდის შემცველობა. ასევე მოწმდება რამდენად ეფექტიანად მუშაობს ფაბრიკა რიგითი ნახშირის გამდიდრებაზე. ვიცით რომელი კლასის ნახშირის გამოყენება შეუძლია საწვავად ჩვენი პროდუქციის ძირითად მომხმარებლებს, შესაბამისად, ვაწვდით მათი მოთხოვნების შესაბამის, შემოწმებულ, ხარისხიან ნახშირს.

ლაბორატორიაში 15 ადამიანია დასაქმებული. მათგან 3 ლაბორანტი და 11 სინჯის ამღებია. 2 სინჯის ამღები სისტემატურად იმყოფება კასპის „ჰაიდელბერგცემენტში,“ რათა ადგილობრივ სპეციალისტებთან ერთად აწარმოოს სინჯების აღება და დაიცვას ჩვენი ინტერესები. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ პროფესიონალების გუნდი ვართ. უდიდესი პასუხისმგებლობით და დიდი სიამოვნებით ვასრულებთ საკუთარ მოვალეობას.“

ქვანახშირის ე.წ. ღია კარიერებზე არსებული მდგომარეობის შესწავლას კომისია აქტიურად აგრძელებს

ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქვანახშირის ე.წ. ღია კარიერებზე არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით შექმნილი კომისიის საქმიანობა აქტიურად ხორციელდება. ლოკაციების მიხედვით არსებულ "ღია კარიერებს," სადაც ბოლო წლებია ქვანახშირის მოპოვებასთან დაკავშირებული სამუშაო პროცესები უნებართვოდ მიმდინარეობდა, კომისიის წევრები ადგილზე ეწვივნენ, მათ შორის, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი, დავით ჩერქეზიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე, იოსებ რობაქიძე და ,,საქნახშირის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, მიხაილ სოცკი.

კომისიის წევრების მიერ ადგილზე მოხდა ვითარების გაცნობა და "კარიერებზე" არსებული ტექნიკური საშუალებების დათვალიერება. აღნიშნულ პროცესს ესწრებოდნენ დაინტერესებული პირები, ვისაც 2018 წლამდე მენარდის სტატუსით ჰქონდათ "კარიერებზე" ქვანახშირის მოპოვების უფლება.

ადგილზე შესწავლით, კიდევ ერთხელ გამოიკვეთა შრომის უსაფრთხოების ნორმებთან დაკავშირებული მძიმე ვითარება, რომელიც საფრთხეს უქმნის ქვანახშირის უნებართვოდ მოპოვებით დაკავებული ადამიანების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

კომისია აგრძელებს მუშაობას, შესწავლილია როგორც სამართლებრივი და უფლებრივი საკითხები, ასევე შრომის უსაფრთხოების შესახებ ყველა დღემდე არსებული დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებულია ე.წ. კარიერებთან.



კომისია თითოეულ დაინტერესებულ პირს შეხვდება კომისიურ ფორმატში. ამავე დროს, შეისწავლის სოციალურ ასპექტებს და იმ პირების მდგომარეობას, ვინც შესაბამის პერიოდში მენარდის სტატუსით იყო დასაქმებული აღნიშნულ "კარიერებზე" და იმუშავებს პრობლემების გადაჭრის გზებზე.

კომისიამ, საკითხების შესწავლის საფუძველზე, დასკვნის სახით უნდა შეიმუშაოს რეკომენდაციები ტყიბულის მუნიციპალიტეტში არსებული ქვანახშირის ე.წ. ღია კარიერების ფუნქციობის მიზანშეწონილობისა და კანონიერების თაობაზე.

დაბაძველის მოსახლეობას სასმელი წყალი 24 საათიან რეჟიმში მიეწოდება!

ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ დაბაძველში, რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში სასმელი წყლის პრობლემა იდგა. ცოტა ხნის წინ, სასმელი წყლის რეზერვუარის მოწყობის სამუშაოები დასრულდა და 40-მდე ოჯახი ახლა უკვე 24 საათიანი წყალმომარაგებით ისარგებლებს. პროექტის ფარგლებში 20 კუბიანი სასმელი წყლის რეზერვუარი მოეწყო და არსებული წყლის მილები შემოწმდა (რომელთა მონტაჟიც უკვე განხორციელებული იყო).

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ჩერქეზიშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ, იოსებ რობაქიძემ და თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებმა დასრულებული პროექტი დაათვალიერეს და მოსახლეობას სოფელში არსებულ მიმდინარე საკითხებზე გაესაუბრნენ.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა!

26 მაისის ღონისშძებები სპორტული აქტივობებით დაიწყო. ქალაქის საჯარო სკოლების მოსწავლეებს შორის მასობრივი გარბენი და ბაგირის გადაძალვა მოეწყო, სადაც გამარჯვებული გუნდები და პრიზიორები დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

ღონისძიებები თემატური ექსპოზიციებით გაგრძელდა. მხარეთმცოდნეობის მუზეუმსა და ყველა საქალაქო ბიბლიოთეკაში 26 მაისთან დაკავშირებული ისტორიული მასალების გამოფენა მოეწყო, ხოლო ღია ცის ქვეშ სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა საკუთარი ხედვა და ემოციები ნამუშევრებში ასახეს.

დღის ბოლოს საზეიმო კონცერტი საქართველოს სახელმწიფო ჰიმნით გაიხსნა. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ჩერქეზიშვილმა დამსწრე საზოგადოებას დამოუკიდებლობის დღე მიულოცა:

,,ვულოცავ სრულიად საქართველოს დღევანდელ დღეს! მხოლოდ თავისუფალი ქვეყანა შეიძლება იყოს პროგრესული და ბედნიერი, ქართველი ერი ვერ შეეგუა მონობაში ცხოვრებას და მან მძიმე, ეკლიანი გზა აირჩია თავისუფლებისაკენ. შედეგად დღეს ჩვენ ვართ დამოუკიდებლები და წინაპრების მიერ მიღებული ეს უდიდესი პასუხისმგებლობა ღირსეულად უნდა გადავცეთ ჩვენს საოცარ ახალგაზრდებს და გავაგრძელოთ გზა ევროპისკენ.“

მაყურებელს ადგილობრივმა შემოქმედებითმა ჯგუფებმა და სოლო შემსრულებლებმა სადღესასწაულო პროგრამა წარმოუდგინეს. შეკრებილ საზოგადოებას საშუალება ჰქონდა 26 მაისის უმნიშვნელოვანეს თარიღთან დაკავშირებულ ისტორიულ მოვლენებს თემატურ ფოტომასალასთან ერთად გაცნობოდა.

მერთან ერთად, ღონისძიებას საკრებულოს თავმჯდომარე, იოსებ რობაქიძე და ადგილობრივი თვითმმართველობისა სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ტყიბულის ჭადრაკის ფედერაციას ახალი პრეზიდენტი და აღმასრულებელი კომიტეტის წევრები ჰყავს!

მომდევნო ხუთი წლის ვადით, ტყიბულის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტად „საქნახშირის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, მიხაილ სოცკი აირჩეს.

ფედერაციის ახლად არჩეულმა წევრებმა, მათ შორის, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ჩერქეზიშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ, იოსებ რობაქიძემ მიხაილ სოცკის კანდიდატურას ერთხმად დაუჭირეს მხარი.

ტყიბულის ჭადრაკის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, ვიცე-პრეზიდენტად აირჩეს იუზა დოლიძე, ხოლო გენერალურ მდივნად საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სოფიო ბოჭორიშვილი.

დღის წესრიგის მიხედვით, სხდომაზე სხვა საკითხებიც განიხილეს. მათ შორის, დამტკიცდა ტყიბულის ჭადრაკის ფედერაციის ლოგო და შეჯამდა 2017-2022 წლებში ტყიბულის ჭადრაკის ფედერაციის მიერ გაწეული საქმიანობა.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე მრავალფეროვანი ღონისძიებებით აღინიშნა

მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ამფითეატრის სცენაზე, საზეიმო და სანახაობრივი კონცერტი გაიმართა, სადაც სასახლის შემოქმედებითმა ჯგუფებმა განსხვავებული ქორეოგრაფიული და მუსიკალური ნომრები შეასრულეს.

ბავშვებს დღესასწაული, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ჩერქეზიშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სოფიო ბოჭორიშვილმა და სასახლის ხელმძღვანელმა, გულნაზ ტუკვაძემ მიულოცეს. ღონისძიების მსვლელობისას მადლობის სიგელებით დაჯილდოვდნენ სასახლის კურსდამთავრებულები.

საზეიმო კონცერტის დაწყებამდე პატარების განწყობაზე ანიმატორებმა იზრუნეს. ბავშვებმა ანიმაციურ გმირებთან ერთად იმხიარულეს, ფოტოები გადაიღეს, სახე მოიხატეს და ჩაერთნენ ასფალტზე ხატვის პროცესში.

ტყიბულის ხელბურთელთა გუნდი 16 წლამდე გოგონათა შორის საქართველოს ჩემპიონატის ვიცე-ჩემპიონია!

როინ მდივანის ხელმძღვანელობით, ტყიბულის ხელბურთელთა გუნდმა, ორ ეტაპად გამართულ შეხვედრებში, პირველ ეტაპზე გამოვლენილ ექვს საუკეთესო გუნდს შორის, მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა, პირველი კი, ფოთის ,,ოქროს ვერძს“ ხვდა წილად.

ჩემპიონატი ბოლო ტურამდე დაძაბულად მიმდინარეობდა, “ტყიბულსა” და “ოქრო ვერძს” თანაბარი ქულები ჰქონდათ და ბოლო ტურში სწორედ ეს ორი გუნდი შეეჯიბრა ერთმანეთს.

ფინალურ შეხვედრას მუნიციპალიტეტის მერი, დავით ჩერქეზიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სოფიო ბოჭორიშვილი, ააიპ სპორტული ცენტრის წარმომადგენლები და ტყიბულელი გულშემატკივრები ქომაგობდნენ.

თასები და მედლები ხელბურთელებს საქართველოს ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ვახტანგ მეიფარიანმა და დავით ჩერქეზიშვილმა გადასცეს. მერმა გუნდებს მიღწეული წარმატება მიულოცა და მომავალი გამარჯვებები უსურვა.

შეხვედრები თბილისში, ,,არენა 2”-ის სპორტულ კომპლექსში, ხელბურთის ფედერაციის ორგანიზებით მიმდინარეობდა.

კუნგ-ფუში რესპუბლიკური ტურნირი „ტატამის გლადიატორები“ გაიმართა

ამბროლაურში გამართულ ტურნირზე საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან 107 სპორტსმენი (ვაჟები და გოგონები) მონაწილეობდა. გარდა ამისა, საპატიო სტუმრმის სტატუსით იღებდა მონაწილეობას აზერბაიჯანის ნაკრებიც.

შეჯიბრი კუნგ-ფუს 3 სახეობაში გამართა - ფაიტინგი, ტუი შოუ და დზენი. ტყიბულელმა კუნგ-ფუისტებმა წარმატებით იასპარეზეს და სამივე სახეობაში 10 პირველი, 2 მეორე და 1 მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვეს. ჩემპიონები გახდნენ: ნიკოლოზ ბუბაშვილი, საბა აბესაძე, დავით ჩეთოშვილი, გიორგი ტალახაძე, ნიკა ჩაფიძე, ალექსი მაჭავარიანი, ლუკა ტოფაძე და ბადრი ბოჭორიშვილი. პრიზიორები არიან: ლუკა მესხორაძე, ოთარ სანიკიძე და თენგიზ ნადირაშვილი. საბა აბესაძე, დავით ჩეთოშვილი და ნიკოლოზ ბუბაშვილი კი 2020-2021 წლის საუკეთესო სპორტმენებად დასახელდნენ და სერთიფიკატები გადაეცათ.

გუნდი ოლეგ ფანჩულიძის N1 კუნგ-ფუს სკოლის ხელმძღვანელმა, ოლეგ ფანჩულიძემ მოამზადა. სპორტსმენების ტურნირზე გამგზავრება ტყიბულის მუნიციპალიტეტის სპორტულმა ცენტრმა უზრუნველყო.

რესპუბლიკური ტურნირის ორგანიზატორები და მასსპინძლები იყვნენ „საქართველოს კუნგ-ფუს ეროვნული ფედერაცია,“ ამბროლაურის „კუდოს სკოლა“ და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლა.

„საქნახშირმა“ კუნგ-ფუს ჩემპიონატში გამარჯვებულ სპორტსმენს სპეციალური პრიზი გადასცა!

“ოლეგ ფანჩულიძის კუნგ-ფუს სკოლისა” და “ტყიბულის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის” ორგანიზებით, ტყიბულის სპორტის სასახლეში კუნგ-ფუს ტურნირი გაიმართა. შეჯიბრში ტყიბულის, ამბროლაურის, ზესტაფონისა და ბაღდათის 6 სპორტული სკოლის 70 სპორტსმენი მონაწილეობდა.

ტყიბულელმა კუნგ-ფუისტებმა ბრწყინვალედ იასპარეზეს და საერთო ჯამში, სამივე სახეობაში 18 პირველი საპრიზო ადგილი მოიპოვეს.

კომპანია “საქნახშირმა” 50-54 კგ. წონით კატეგორიაში გამარჯვებულ ტყიბულელ კუნგ-ფუისტს, დავით ჩეთოშვილს სპეციალური პრიზი გადასცა.

შეგახსენებთ, რომ “საქნახშირის” მხარდაჭერით, ტყიბულის კუნგ-ფუს სკოლა 30 წელზე მეტია წარმატებით ფუნქციობს და ხელს უწყობს ახალგაზრდებში სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას.

2022 წელს ცენტრალური ბიუჯეტიდან იმერეთში 132 000 000 ლარის ღირებულების 1200 პროექტი დაფინანსდა!

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ილია ბეგიაშვილმა, საქართველოს მთავრობის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის რეგიონული კოორდინაციის სამმართველოს უფროსმა შოთა კაკაბაძემ და გუბერნატორის მოადგილემ ბესიკ გოფოძემ, იმერეთში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერეს. ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგის ფარგლებში, საჩხერესა და ჭიათურაში, სამუშაოების მიმდინარეობას ადგილზე გაეცნენ და მშენებელი კომპანიებისგან დეტალური ინფორმაცია მოისმინეს.

როგორც *ზვიად შალამბერიძემ* განაცხადა, „იმერეთში ინფრასტრუქტურული სამუშაოები სრული დატვირთვით მიმდინარეობს. საჩხერეში, ჭიათურაში, ზესტაფონში და თერჯოლაში, სამუშაოების ჯამური ღირებულება 38 000 000 ლარს შეადგენს. შედეგად, აღნიშნული მუნიციპალიტეტები ახალ საავტომობილო გზებს, წყალმომარაგების ახალ სისტემებს, სკოლებს, ბაღებს მიიღებენ. მონიტორინგის ფარგლებში, რა თქმა უნდა, ჩვენ გავაკონტროლებთ, რომ რეაბილიტაცია-მშენებლობების ყველა ვადა იყოს დაცული.“

,,ყველა იმ პროექტის გარდა, რომელსაც ახორციელებს საქართველოს განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მთელი საქართველოს მასშტაბით, ასევე ხორციელდება პროექტები, რომლებიც ფინანსდება სხვადასხვა ფონდებითა და პროგრამებით. 2022 წელს 132 000 000 ლარის 1200 პროექტია დაფინანსებული იმერეთის მხარეში. ამ პროექტებში შედის სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, მთის ფონდი, რეგიონული ფონდი, ევროკავშირის პროექტები და სხვადასხვა დაფინანსების წყაროები, რაც ჯამურად შეადგენს 1200 პროექტს. დღეს უკვე რამდენიმე მუნიციპალიტეტში მოვინახულეთ მიმდინარე პროექტები და სასიხარულოა, რომ სამუშაოები სხვადასხვა მიმართულებით ხორციელდება. პრაქტიკულად, ინფრასტრუქტურის მთელი სპექტრი არის მოცული“ - განაცხადა *ილია ბეგიაშვილმა.*

საჩხერეში ქორეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების სასმელი წყლის სისტემების მოწყობის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. პროექტის დასრულების შედეგად სოფელ ქორეთისა და კალვათას, ასევე, პასიეთის დასახლებაში მცხოვრები 870 ოჯახი წყალმომარაგებით ისარგებლებს.

საპილოტე რეგიონების ინტერგირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, საჩხერეში, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის “მოდინახის ციხის” მისასვლელისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობაც ხორციელდება. პროექტი ევროკავშირის მიერ არის დაფინანსებული.

მონიტორინგის ფარგლებში ინფრასტრუქტურული პროექტები ჭიათურაშიც დაათვალიერეს. პროექტის ,,განახლებული რეგიონები“ ფარგლებში 9 პროექტი განხორციელდა. მოეწყო შადრევანი, სკვერი, სკეიდბორდის მოედანი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ფასადებსა და ტროტუარებს.

ასევე, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, ჭიათურის მუნიციპალიტეტში სამი პროექტი ხორციელდება. მოცემულ ეტაპზე, აქტიურად მიმდინარეობს: ყოფილი პიონერთა სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე რეკრეაციული ზონისა და სკვერის მოწყობა, გედების ტბის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა და კაცხის სვეტამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია.

იმერეთის ოთხ მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგი გრძელდება!

ქუთაისში, წყალტუბოში, ხონსა და სამტრედიაში საავტომობილო გზების, რეკრეაციული სივრცეების, ფასადებისა და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიმართულებით არაერთი პროექტი ხორციელდება.

ზვიად შალამბერიძე: ,,ინფრასტრუქტურული პროექტების საერთო ღირებულება ჯამში 57 000 000 ლარს შეადგენს. ყველა პროექტი სახელშეკრულებო გრაფიკის შესაბამისად მიმდინარეობს. მრავალფეროვანი პროექტები გვაქვს, შედის როგორც საავტომობილო გზები, წყალმომარაგება, ასევე, სოფლის ამბულატორია და სხვა.“



ქუთაისში დაწყებულია ცენტრალური სამუსიკო სკოლის სრული რეაბილიტაცია. განახლდება და სტანდარტების შესაბამისად მოეწყობა შენობის ფასადი, ინტერიერი, სახურავი, განათების და გათბობის სისტემა, საკონცერტო და საგამოფენო სივრცეები, სამეცადინო ოთახები. პროექტი დაფინასებულია რეგიონული განვითარების ფონდის მიერ და მისი ღირებულებაა 1 583 866 ლარი. გარდა ამისა, აქტიურად მიმდინარეობს ,,ასსაფეხურიანი“ კიბის რეაბილიტაცია.

მონიტორინგის ფარგლებში ხელისუფლების წარმომადგენლები ხონის ცენტრალური ბულვარის რეაბილიტაციის მიმდინარეობასაც გაეცნენ. პროექტი საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამით 1 744 995 ლარით დაფინანსდა. სამუშაოების ფარგლებში ბულვარში შეიცვლება ღობე და ფილები, მოეწყობა ველობილიკი და ამფითეატრი, საბავშვო სივრცეები, ასევე განახლდება ფლორა, დამონტაჟდება ძელსკამები. აღსანიშნავია, რომ პროექტი სრულად ინკლუზიურია და გათვალისწინებულია ყველა მოწყვლადი ფენის საჭიროებები.

სამტრედიაში, ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩხენიშში, ამბულატორიის მშენებლობა მიმდინარეობს. აღნიშნული პროექტის დასრულების შემდეგ სამედიცინო დაწესებულებით ახლოს მდებარე სოფლის მოსახლეობა ისარგებლებს. მშენებლობა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ არის დაფინანსებული.

ოთხივე მუნიციპალიტეტში სამუშაოები გრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიმართულებით. ხელისუფლების წარმომადგენლებმა მშენებელი კომპანიებისგან და სპეციალისტებისგან კიდევ ერთხელ მოისმინეს ინფორმაცია ხარისხისა და ვადების დაცვის შესახებ.

ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგი ზესტაფონსა და თერჯოლაში

ხელისუფლების წარმომადგენლები იმერეთის მუნიციპალიტეტებში მიმდინარე სამუშაოებს ადგილზე გაეცნენ. საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში მათ ზესტაფონში, სოფელ ცხრაწყაროში ვარინკა მაჭავარიანი-წერეთლის სახელობის თეატრონის მშენებლობა-რეაბილიტაციის მიმდინარეობა დაათვალიერეს. დაგეგმილია, როგორც სცენის, ასევე არსებული სამაყურებლო სივრცის მოცულობის გაზრდა და გადახურვა, სცენასთან გასახდელებისა და საკვანძეების მოწყობა, ეზოს კეთილმოწყობა.

ამ ეტაპზე, ზესტაფონში ორ სოფელთან დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებიც აქტიურად მიმდინარეობს. აღნიშნული გზით ორი სოფლის, ზედა საქარისა და დილიკაურის მოსახლეობა სარგებლობს. საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა ბეტონის საფარით პირველად ხორციელდება. რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ, 100-მდე ოჯახს ადმინისტრაციულ ცენტრამდე გადაადგილება გაუუმჯობესდება.

ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებით პროექტები მიმდინარეობს თერჯოლის მუნიციპალიტეტშიც. სამშენებლო სამუშაოები აქტიურ ფაზაშია ღვანკითი-ავტობანის დამაკავშირებელ გზაზე. პროექტის ფარგლებში არმირებული ბეტონის საფარი, სანიაღვრე არხები, ცხაურები და ბოგირები მოეწყობა. სამუშაოები მიმდინარეობს წყალმომარაგების გაუმჯობესების მიმართულებითაც. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ თერჯოლის მუნიციპალიტეტის ორი სოფლის: ტელეფასა და რუფოთის 24 საათიანი წყალმომარაგებისთვის ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობა დაიწყო. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია რეზერვუარის, სატუმბი სადგურისა და წყალმომარაგების სრულიად ახალი სისტემის მოწყობა.

პროექტები საგანმანათლებლო მიმართულებითაც ხორციელდება! მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, სოფელ რუფოთის N1 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია დასკვნით ეტაპზეა. პროექტის ფარგლებში ცენტრალური გათბობის სისტემა, შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემო, რეკრეაციული სივრცე და ღია სპორტული ინფრასტრუქტურა მოეწყობა.

სოფელ ზედა საზანოში კი 100-მდე აღსაზრდელზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში მოეწყობა სათამაშო, სასადილო, სამზარეულო და საძინებელი ოთახები. დამონტაჟდება ცენტრალური გათბობა და აღიჭურვება თანამედროვე ინვენტარით. შენობა ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. პროექტის ფარგლებში, გარდა შიდა ინფრასტრუქტურისა, კეთილმოეწყობა საბავშვო ბაღის ეზო.

მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში შეხვედრა გაიმართა

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ოლეგ (ბაჩო) თორთლაძემ მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის მიმდინარე საკითხებზე იმსჯელეს.

შეხვედრაზე საჯარო რეესტრის წარმომადგენლებმა ადგილობრივი თვითმმართველობის პირველ პირებს მიწის სისტემური რეგისტრაციის შესახებ პრეზენტაცია წარუდგინეს და რეფორმის მიმდინარე და დაგეგმილ აქტივობებზე დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. საუბარი სოფლებისა და დაბების დამისამართების საკითხსაც შეეხო.

2022 წლის 1 იანვრიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმას ახორციელებს.

ქვეყნის 59 მუნიციპალიტეტში (ოკუპირებული ტერიტორიებისა და თვითმმართველი ქალაქების გარდა) ყველა სარეგისტრაციო მომსახურებას მესაკუთრეები ოფისში მისვლის გარეშე, უფასოდ მიიღებენ. 3 წლის განმავლობაში საჯარო რეესტრი სრულად აზომავს და დაარეგისტრირებს კერძო, სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს და შექმნის მონაცემთა ერთიან ბაზას.

კონკრეტულ ადმინისტრაციულ ერთეულებში საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების დაწყების განრიგის გაცნობა შესაძლებელია slr.napr.gov.ge-ზე.

„საქნახშირის სპორტული და გასართობი ღონისძიებები“ ჭადრაკის შიდა ჩემპიონატით გაიხსნა!

ჩემპიონატი შვეიცარული სისტემით ჩატარდა და მას ტყიბულის ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, იუზა დოლიძე ხელმძღვანელობდა.

გამარჯვებულები „საქნახშირის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ, მიხაილ სოცკიმ სამახსოვრო სიგელებითა და ფულადი პრიზებით დააჯილდოვა.

I ადგილი გია სულამანიძემ დაიკავა, II ადგილზე შახი რიჟამაძე გავიდა, III ადგილის მფლობელი კი კახაბერ ხორხომელიძე გახდა.

გამარჯვებული მეშახტეები ტყიბულის გუნდურ ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას.

“საქნახშირი” გარემოს დაცვის მსოფლიო დღეს შეუერთდა!

გამწვანების აქცია ტყიბულის ორ ლოკაციაზე მოეწყო, “საქნახშრის” ადმინისტრაციულ კორპუსთან და თბოელექტროსადგურთან მდებარე ფუჭი ქანის სანაყარო ტერიტორიაზე მუხის ხეები დაირგო.

აქცია მოეწყო ტყიბულის წყალსაცავთანაც - “საქნახშირის” თანამშრომლებმა სანაპირო ნარჩენებისგან გაასუფთავეს და ინიციატივა გამოთქვეს, რომ მსგავსი აქტივობები წლის განმავლობაში, პერმანენტულად დაიგეგმოს, რათა საკუთარი წვლილი შეიტანონ გარემოს დაცვის საქმეში.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე "საქნახშირში"

"საქნახშირისა" და "მწერალთა სახლის" საჩუქარი ახალგაზრდა მკითხველს

1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, "საქნახშირის" და მწერალთა სახლის თანამშრომლობით, ტყიბულის მოსწავლე - ახალგაზრდობის სასახლეში, ახალგაზრდა მკითხველს თანამედროვე ქართველი ავტორი, ნინია სადღობელაშვილი შეხვდა. მან თავისი რომანის ,,დაბადების დღე" შესახებ ისაუბრა, რომელიც სწორედ მოზარდების ცხოვრებისეულ გამოწვევებს ეხება. ამასთანავე, გამომცემლობა ,,ინტელექტმა" ზემოთ ხსენებული წიგნის რამდენიმე ეგზემპლარი საჩუქრად გადასცა ,,წიგნის მოყვარულთა კლუბს."

2022 წელს მწერალთა სახლის მიერ ინიცირებული წიგნის ჩუქების მასშტაბური კამპანიის ფარგლებში, ტყიბულში, "საქნახშირის წიგნის მოყვარულთა კლუბს" საჩუქრად გადაეცა სხვადასხვა წლებში მწერალთა სახლის მხარდაჭერით თარგმნილი როგორც თანამედროვე, ასევე კლასიკური ლიტერატურის ნიმუშები.

მწერალთა სახლისა და ,,საქნახშირის" ერთობლივი პროექტის მიზანია რეგიონში მცხოვრები მოსწავლეებისთვის მეტი ხელმისაწვდომობა ახალ ლიტერატურულ თარგმანებზე და ახალგაზრდებში წიგნის კითხვის პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

1 ივნისს "საქნახშირმა" სკოლის მოსწავლეებს უმასპინძლა

ბავშვთა დაცვის საერთაშორის დღეს „საქნახშირში" განსაკუთრებული სტუმრები გვყავდა. სპეციალურ ტურს ავთანდილ ბოჭორიშვილი (დირექტორის მოადგილე შრომის უსაფრთხოების დარგში) გაუძღვა და ბავშვებს საწარმოს მუშაობის, შრომის უსაფრთხოებისა და ქვა-ნახშირის მოპოვების შესახებ დეტალური იფორმაცია გააცნო. სტუმრებს შორის იყვნენ "საქნახშირის" მეშახტეების შვილებიც.





ჩვენ ერთად ვქმნით უსაფრთხო სამუშაო გარემოს

“ ასაფეთქებელი სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხო ადგილზე გასვლა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

დაიცავი უსაფრთხოების წესები და გახდი მაგალითი ყველა მეშახტისთვის. ”

ვეფხვია გოტიაშვილი 〉 ნახშირმომპოვებელი უბნის წმენდითი სანგრევის სამთო მუშა

საქნახშირი SAKNAKHSHIRI

მეშახტე
მაისი | 2022 | №17

სარედაქციო საბჭო:
გვანცა დელიბაშვილი, გიორგი სულაძე, გაგა ისაკაძე, ირაკლი კირკიტაძე, ონისე საპანაძე, ბექა აშოთია, კახა ჩიქობავა, ხვიჩა გაბუნია.

მისამართი: ტყიბული, თაბუკაშვილის 13

კორპორატიული გამოცემა

www.facebook.com/saknakhshiri